



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 91

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი  
27.12.2024

91-06-4-202412271548



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 456 ერთეულ გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენებზე (ბოძი) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილების სს „სილქნეტი“-სთვის იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 2 დეკემბრის №18-182433736 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

**მუხლი 1**

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 456 (ოთხას ორმოცდათექვსმეტი) ერთეულ გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენებზე (ბოძი) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილები, იჯარის ფორმით გადასცეს სს „სილქნეტს“, ორი წლის ვადით.

**მუხლი 2**

საყრდენზე (ბოძი) ერთი წერტილის ყოველწლიური საიჯარო ქირის ღირებულება განისაზღვროს 5 (ხუთი) ლარით.

**მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

